წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 2 სექტემბერი 1915 წ. № 83

# საქართველო

ხელის მოწერა და დასტამბვით განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

**პროგრამა 2—7 სექტემბრამდის**

**ოთხშაბათი** 2 სექტემბერი. **ქართული წარმოდგენა**, ბაღში დაუკრავს **ორკესტრი**. შესვლა უფასოა.

**ხუთშაბათი** 3 სექტემბერი. **საბავშვო საღამო**: სეირნობა, **სინემატოგრაფით**, ცეკვით და **ორკესტრით**.

**პარასკევი** 4 სექტემბერი. **რუსული წარმოდგენა** „Сердце Загадка“, კომედია 3 მოქ. ლ. ი. ივანოვსკის. ბაღში დაუკრავს „**დუდუკი**“ შესვლა წარმოდგენაზე უფასოა.

**შაბათი** 5 სექტემბერი. **სინემატოგრაფი**, ბაღში დაუკრავს **ორკესტრი**.

**კვირა** 6 სექტემბერი. **ქართული ოპერეტა**; ბაღში დაუკრავს სიმებიანი **ორკესტრი**. შესვლა ოპერეტაზე უფასოა.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე, წარმოდგენის 9 საათზე, საბავშო საღამოსი 5—9 საათამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## კერძო საქალებო 4 კლასიანი სასწავლებელი

**ქნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერქეზიშვილისა.**

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

**მისაღები გამოცდა იწყება ყველა ...**

1 2 ენკენისთვეს—ახგარიძი
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17.

**სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს.** (10—6)

## ქართველ ინტელიგენტთა მიმართ!

ჩვენ განვიზრახეთ დავაარსოთ ალაზანს გაღმით მდებარე მამულებში (სიღნაღის მაზ.), შესაფერს ადგილას

## ინტელიგენტთა ახალშენი

50—70 მეკომურიანი, მამული შეიძინება შეძლების დაგვარად, ხოლო არა ნაკლებ ათი დესეტინისა თითო მეკომურზე. როცა მსურველთა რიცხვი 40-დე ჩაეწერება (დღემდე 22 განაცხადა ნამდვილი სურვილი), კრება დაინიშნება ქ. თბილისში საქმის მოსაგვარებლად და რწმუნებულების ამოსარჩევად. საჭიროა დაჩქარება, მიმართეთ ქ. სიღნაღში მღვდ. **ნიკოლოზ ბარნაბიშვილს** და **ნიკოლოზ ივ. ახმეტელაშვილს.** 1—უ—3

## პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური კერძები: ხარჩო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის ... ქმელები ... შეღავათი ეძლევათ. სადილი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილ... ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინის მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს** ყოვ. დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქ., № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

## განცხადება

ეკონომიური განყოფილება შავი ზღვის რკინის გზისა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზედ მოტანა რკინის გზი საჭიროებისთვის შემდეგი სანოვაგისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | პურის ფქვილი ველა ან პირველ სორტისა | 7,500 | ფუთი |
| 2. | მარილი ფუთიან ტომრებში | 290 | „ |
| 3. | დამარილებული ღორის ქონი (სალა) | 770 | „ |
| 4. | სამარხვო, ანუ ხვჭვრიტას ზეთი | 300 | „ |
| 5. | ქვიშნის უგრეხელას მარცვალი, Гречн. крупа | 1500 | „ |
| 6. | ფეტვი | 1500 | „ |
| 7. | მუხუდო | 100 | „ |
| 8. | ხახვი | 125 | „ |
| 9. | ძმარში ჩადებული ჭარხალი (ბურაკი) | 1.700 | „ |

გარდა მისა ყოველ თვიურად მოტანა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1, | კარტოფილისა | 1,500 | „ |
| 2. | კომბოსტოსი, ახალი ანუ დამჟავებული | 380 | „ |

ფასები ზემოხსენებულ სანოვაგეზედ უნდა იყოს ნაჩვენები იმ ხარჯებთან ერთად, რასაც იღებს გამომგზავნელი რკინის გზის სადგური. მხოლოდ, რაც შეეხება სხვა ხარჯებს როგორიც გახლავთ სადგურ ახალსენაკამდის ტვირთის მოტანა, შავი ზღვის რკინის გზა თავის თავზე იღებს.

ვისაც სურს ზემოხსენებული სანოვაგის მოტანა იჯარით აიღოს, მათ უნდა განცხადება გაგზავნონ დახურულ პაკეტებით, რომელშიაც ნაჩვენები იქნება განმარტებითი ფასები, და ის რკინის გზის სადგური, რომლიდგანაც უნდა მას ამ სანოვაგის გამოგზავნა. პაკეტებზე უნდა ეწეროს სანოვაგე. განცხადებანი უნდა იყოს გაგზავნილი არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა შემდეგი მისამართით: Сочи, Начальнику хозяйственнаго отдѣла черноморской желѣзной дороги. (6—2)

## ძ. ზორაპი ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ოსმალეთის მიერ დათმობილი ტერიტორიის ნაწილი უკვე ჩაიბარეს ბულგარებმა. მეორე ნაწილსაც ამ ორ კვირეში დაიჭერენ.

—

ავსტრიის ჯარები რუმინიის საზღვრებისაკენ მოიწევენ. რუმინელთა გაზეთები ომს მოითხოვენ

**შემოდგომის იმედი.**

გაზეთი „რეჩი“ ალნიშნავს სამხედრო მოქმედებისთვის საუკეთესო სეზონის განმავლობაში, ივნისის დამლევიდან დღემდე, გერმანელთა ჯარის სისწრაფე დღე და ღამეში ერთი მეორესთან ვერ გასცილებია 2—4 ვერსს თუ გერმანელთა ჯარებმა, რომელთა მთავარი სწრაფვა სწორედ სიჩქარეში მდგომარეობს, ამაზე მეტი სისწრაფე ვერ გამოიჩინეს საზაფხულო სეზონში, როდესაც გზებიცა და ამინდიც ხელსაყრელია ჩქარი მოქმედებისთვის, რაღას უნდა გახდეს იგი ამ შემოდგომიდან იმ ადგილებში, რომლებიც ჭაობებით არის მოფენილიო. გაზეთი ნუგეშის კილოთი ამბობს: წვიმიანი შემოდგომა თავისი უფლებებით აღიჭურვა და გარდაიქცა იმ უმნიშვნელოვან, სტრატეგიულ პირობად, რომელთან ... ტესობაა რუსის მამაც ჯარისათვისო.

**მინსკში.**

გუბერნიის უფროსმა გააკვრევინა განცხადება სადაც ნათქვამია: ვალად ვრაცხ მივმართო მინსკის გუბერნიის მცხოვრებთ და გავაფრთხილო გულდამშვიდებით და სრულის თავდაჭერით შეეგებონ სამხედრო დროის ამბებს. არავითარ შემთხვევაში მცხოვრები იძულებით არ იქნება გაძევებული თავის საცხოვრებლიდან, პირიქით, შესძლებენ ფარგლებში მცხოვრები თავის ოჯახურ ავლადიდებასო.

**ტრაპეზუნდის გამაგრება.**

ფრანგულ გაზეთების ცნობით, ოსმალები დიდი სიჩქარით ამაგრებენ ტრაპეზუნდს და ათავებენ ტრაპეზუნდ-გიგაუსხანეს რკინის გზის ლიანდაგს.

**გერმანელი ინჟენრები რუსეთში.**

ბერნლინიდან ცნობაა, გერმანელებმა დიდ ძალი ინჟინერი და სპეციალისტი—მუშები ბელგიიდან რუსეთში გადაიყვანა, სადაც ისინი სამხედრო ქარხნებში იმუშავებენო.

**გვირგვინი პეგუს.**

ამასწინად გერმანელ ჰაეროპლანთან მამაცურ ბრძოლაში დაიღუპა ცნობილი ფრაგნი ავიატორი პეგუ.

26 აგვისტოს ფრანგების პოზიციებზედ, ალზასში გამოჩნდა ერთი გერმანული ჰაეროპლანი, საიდანაც ჩამოაგდეს გვირგვინი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „გმირულად დაღუპულ პეგუს—მის მოპირდაპირისაგან“. გვირგვინს პეგუს სასაფლაოზედ დასდებენ.

**ფრანგული გაზეთები და ხელმწიფე—სარდალი.**

გაზეთი „მატენი“ სწერს: ხელმწიფე იმპერატორის ჩადგომას რუსეთის ჯარის სარდლად უდიდესი მორალური, პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა არ ექნებოდა“.

გაზეთი „Zonrnae“-ი სწერს: „როდესაც რუსეთის ტერიტორია ხდება ბრძოლის ველად, მაშვინ თვით ომიც ეროვნული ხდებაო და მონარქიც თავის ხალხთა სათავეში უნდა ჩადგესო“.

ტის დასავლეთით პიქსე... რაიონებში და საუკენთან ... სროლა ... ძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა ... სკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებს ენერგიული იერიშები მოაქვთ. აბელის რაიონში, უციანში და მის სამხრეთით ბრძოლა მძაფრს ხასიათს იღებს სადგურ ნოვოსვენტიანთან რკინის გზა გადაჭრილია გერმანელთა მიერ. გერმანელთა მძაფრ იერიშების გამო ნოვო-სვენციანსა და ვილნას შუა რუსებმა დაიხიეს და სადგურ ვოდარზდეს რკინისგზის რაიონისკენ გაემართნენ. ვილნოს რაიონის დასავლეთით და ორანის აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია. ორანთით მოსტი ფრონტზე ბრძოლა მკაცრ სახეს ღებს. გერმანელები აძლიერებენ ჯარებს სკიდელის რაიონში და მის აღმოსავლეთით. საარიერგარდო ბრძოლის დროს რუსები თან ... ერებდნენ მოსეულ მტრებს და ... ან საარტილერიო ცეცხლს უკიდებ... ნენ. ვოლკოვის-კარტუზის-ბერიოზას აღმოსავლეთით გერმანელები ფრთხილად მიიწევენ წინ. მათი ცდა, რომ გადამწყვეტი იერიშით წამოსულიყვნენ, ყოველთვის რუსების გამო ჩერდებოდა. ვობრინისისა და პინევის შუა სახრეთ-დასავლეთით რუსის ჯარები ... რებდენ გერმანელებს, რომელნიც სცდილობდნენ უმთავრესად მდ. სტირგორნისა და მათ აღმოსავლეთით გაჭრილიყვნენ, როგორც ეს ჩაიდინეს კოლკისა და დერჟანოს რაიონებში დერჟანოს რაიონებში მკაცრი ბრძოლაა. როვნოს დასავლეთით დუბნო-კრემენეცის რაიონში ავსტრიელთ უშედეგო იერიშები მოაქვთ. გალიციაში ტარნოპოლის რაიონში გერმანელთა ძლიერ არტილერიის ცეცხლის ქვეშ რუსები მაინც წინ მიდიან და იჭერენ ტყვეებს. გერმანელები ჩრდილოეთისკენ მიიწევიან და იქ მაგრდებიან. ქვემო სერეტზე ზალეშჩიკოვის რაიონში გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ რუსების მიერ. საზოგადოდ აქ ავსტრო-გერმანელები სცდილობენ აჩვენონ ქვეყანას, ვითომც ბრძოლის ინიციატივა კვლავ მათ ეკუთვნით, რაიც მეტად ძვირად უჯდებათ კიდეც.

## ომის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუმინიის პოზიცია.**

ავტორიტეტულ დიპლომატიურ წყაროებიდან ირწმუნებიან, რუმინიასა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის შესწყდა ყოველგვარი მოლაპარაკებაო. საბოლოოდ გამოირკვა, რომ რუმინია არც ერთ მხარეს მიეკედლება და არც მეორეს ამ მოკლე ხანში მაინცო. დიპლომატები ფიქრობენ, დარდანელი დაეცემა თუ არა, რუმინიის პოზიციაც თავის თავად შეიცვლება და მოლაპარაკება კვლავ გაიმართება რუმინიასა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორისო.

**გერმანელების თვიური ზარალი.**

გერმანული ოფიციალი ცნობების მიხედვით ფრანგული გაზეთი „მატენი“ იუწყება, გერმანიას ყოველ თვე სამას ათასზე მეტი ჯარი ეკარგება მოკლული და დაჭრილი, რომელთაგან მხოლოდ ერთი მესამედი რჩება. და შესძლებს კვლავ იარაღის ხელში აღებასო.

—

გაზეთი „ტიმეს“-ის აზრით დვინის სამხრეთ დასავლეთით, დვინსკისა და იაკობშტადტის მიმართულებით გაჩაღებულ ბრძოლას მიზნად აქვს ზურგი შეუმაგროს გერმანიის ჯარს რომელიც ვილნოსაკენ მიეშურებაო.

—

ფრანგული გაზეთები ირწმუნებიან ომის დაწყებიდან იტალიამ მხოლოდ ოცდაათი ათასი კაცი დაჰკარგა, ავსტრიამ კი ას ათასზე მეტიო. ასეთი დიდი განსხვავება, ფრანგულ გაზეთების აზრით, იტალიის არტილერიის უპირატესობით არის განსაზღვრული.

—

„რ. უტ.“ ტელეგრაფით კიევიდან ატყობინებენ, რომ იქ სასწავლებლების ევაკუცია უკვე დაიწყოო.

—

## შტაბის დეპეშები

**თბილისი, 31 აგვ.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 29 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში სროლაა. ოლთისის გეზით არკისთან რუსის მზვერავებმა ოსმალნი კლდიდან გამოდევნეს დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი, 31 აგვ.** ფიციალი. რიგისა, ფრიდრიხშტადტიდა იაკობშტადტის რაიონებში არითი ცვლილება გრ მომხდარა. ... სამხრეთ ფრონტზე და მიტავის ჩილო. დასავლეთით მარქაფა ჯარი შეჯახება. ფრიდრიხშტადტის ჩრდო-დასავლე-

გაზეთი Petit Pansin“-ი სწერს: ხელმწიფე იმპერატორის მიერ თავის ჯარების უზენაესი სარდლობის მიღება იმას ამტკიცებს რომ მონარქიის ნებისყოფას და რუსის ხალხის ნებისყოფას გადაუწყვეტია გმირული და შეუდრეკელი გამკლავება და წინააღმდეგობა, ვიდრე ომი სასურველ მიმდინარეობას არ მიიღებს. სასწაულებს გამოიწვევდა თვით ხელმწიფის ყოფნა ჯარის შუაგულში, რომ ხანგრძლივ სასწაულად მასაჩნევი არ იყოს ის შეუდარებელი სიმტკიცე რომელიც ამ უკანასკნელ დროში გამოიჩინა რუსის ჯარისკაცმაო.

გაზეთი L'lomme libre“-ი კლემანსოს პირით ლაპარაკობს: ხელმწიფის სატყვა, მის მიერ ჯარის სარდლობის მიღება და რუსის საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელ დროინდელი გამოცხადება ნათელს ჰყოფენ რომ მამულის დასაცავად, სრული ერთსულოვნება მეფობს ხემლწიფესა და მის ხალხ შორის.

## უეცრივი ცვლილება

რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ყოველ ახალ წუთს ახალი და მოულოდნელი ცვლილება მოაქვს. რაც გუშინ წარმოუდგენელი იყო, დღეს აშკარად ხდება.

უეცრივი ცვლილებანი რუსეთის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდმივ ფაქტად გადაიქცნენ.

ცხადია, ჩვენი ცხოვრებაც, როგორც რუსეთთან დაკავშირებული რამ, ამ ცვლილებათ ვერ ასცდებოდა.

და აკი მოხდა კიდეც ერთი საგულისხმიერო ამბავი: კავკასიაში ახალი მეფის მოადგილე დაინიშნა.

ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, რითია გამოწვეული ასეთი უეცრივი დანიშვნა მეფის ახალ მოადგილისა: მაგალითად არ ვიცით, ნიშნავს ეს ამიერ-კავკასიაში აქამდის გამეფებულ პოლიტიკის უარყოფას და გამოცვლას, თუ ძველი პოლიტიკის უფრო ბეჯითად გაგრძელებასა და განმტკიცებას.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, მთელი კავკასიის და კერძოდ ქართულ ცხოვრების მართვა-გამგებლობა [illegible] აუცილებლად მოსალოდნელია, რომ ცხოვრება მეფის ახალი მოადგილის ძლიერ პიროვნების გავლენით დღევანდელ წერტილიდან დაიძრება.

და ეს მოძრაობა უსათუოდ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას პასსიურ სფეროდან გამოიყვანს და უნებურად აიძულებს პასუხისაგებ ნაბიჯის გადადგმას.

თქმა არ უნდა, სცდებიან ისინი, ვინც ირწმუნება, რომ ეს ცვლილება ძირიანად შესცვლის ქართულ საქმესო, მაგრამ სცდებიან ისინიც, ვინც ჰფიქრობს, რომ ამ ფაქტს არავითარი ახალის მოტანა არ შეეძლებაო.

რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრების ძირიანად შეცვლას ჯერ თავისი დრო არ დადგომია და ამიტომაც არც რაიმე ტყუილ ილუზიებმა უნდა გაგვიტაცოს.

მაგრამ იმას კი ანგარიში უნდა გაუწიოთ, რომ ამ ახალის დანიშვნით შესაძლოა ისეთი კერძო ცვლილებანი იყოს შეტანილი ქართულ ეროვნულ ცხოვრებაში, რომელნიც ავად თუ კარგად ერთგვარ გავლენას იქონიებენ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაზე.

ამ უკანასკნელის მიხედვით ეხლავე გათვალისწინება ასეთ სერიოზულ მომენტისა და მომზადება ჩვენი ყველა ჯგუფისა მის დასახვედრად მეტად საჭიროა. საჭიროა ერთი მკაფიო გეგმის შემუშავება და მის ფარგლებში მოქმედება.

წარსულმა ჩვენმა მრავალფეროვანმა ისტორიამ გვასწავლა, და ჩვენ მეზობლების აწმყომაც ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ადვილად შესაძლოა ამ შემთხვევებში და არეულ მოქმედების გამო, კერძო პირების ამოტივტივება, თავის პირად პოლიტიკის მთავრობის წინაშე წარმოება და მერე მისი მავნე შედეგების მთელი ერის კისერზე მოხვევა.

რომელიმე ჩვენი ქალბატონი ან შინზრდილი ბრძენი თავადიშვილი სასახლეში თავს ამოჰყოფს და დაიწყებს თავის ჭკუის კვალობაზე პატრიოტობას.

რა კეთილი უნდა დაემართოს ამ პოლიტიკოსებისაგან ქართველ ერსა ჩვენ წინდაწინვე გათვალისწინებული გვაქვს [illegible] საერთო ტაქტის გამორკვევა და მისდა მიხედვით უფარავი თვითმოქმედება და დადებითი გავლენის მოხდენა იმ ჯგუფებზე, რომელნიც თავის მდგომარეობით იძულებით რეალ პოლიტიკაში ჩათრეულნი არიან. საჭიროა ზომების მიღება იმ პირის წინააღმდეგ, რომელნიც ამ განსაცდელ დღეებში მოისურვებენ მთავრობის წრეებში უპასუხისგებლო რაიმე პოლიტიკის წარმოებას.

აი რა აულებელ პირველ პრაქტიკულ პასუხს ითხოვს ის შესანიშნავი უეცრივი ცვლილება, რომელიც თავს დაადგა დღევანდელ ქართულ რეალ ცხოვრებას.

დ. კახელი.

## პეტროგრადში

(საკუთარი კორესპონდენტიდან)

I

უკვე ორი დღეა რაც პეტროგრადში ვარ და ჯერაც ვერ მიცვნია ძველათ სიცოცხლით სავსე, მხიარული, მოძრავი ქალაქი.

ქალაქს თითქო ძაძა ჩაუცვამს და მდუმარებით აცილებს პატივსაცემ მიცვალებულს.

მოქალაქეთა სახეს ღრმა, სერიოზული გამომეტყველება მიუღია.

ეტყობა, ხალხი გრძნობს

და შეგნებულათ ხვდება ყველა ახალ ცნობას.

„Вечерне Время“-ს რედაქციის წინ, სადაც ეკრანზე აჩვენებენ ახალი მოსულ დეპეშებს, მთელი მოედანი მუდამ ხალხით არის გაჭედილი და ცხარე კამათი იმართება მოსულ ცნობათა გამო.

უახლოვდები ერთ ჯგუფს.

კამათის საგანი ჩვეულებრივია—გერმანელების გამარჯვება. გარშემო მთელი გროვა შემოხვევიათ.

ძალიან კეთილი. აიღეს ვარშავა, კოვნო, ბრესტი, ვთქვათ, აიღონ პეტროგრადიც, მაგრამ როდემდის, ან სიდემდის უნდა იარონ.

რუსეთი დიდია, ნაპოლეონმა მოსკოვი აიღო, მაგრამ მაინც გააგდეს, ჩვენ მთელი გალიცია ავიღეთ, მაგრამ უკან წაიღეს. იარაღი და ჯარი გვემატება. საზოგადოება მუშაობს და აწი ვნახოთ... „რუსეთი დიდია და სიდემდის უნდა იარონ“—ამ სიტყვებს დაუკვირდით. ესე ფიქრობენ არა მარტო ორი ახალგაზრდა,

ყველგან სადაც არ შეხვალთ ომზეა ლაპარაკი, ყველაფერს ომის სუნი სდის და იმავე დროს კი—გაზეთების სიტყვით პეტროგრადის ქუჩებზედ რასპუტინი უნახავთ.

თითქოს იცვლება რუსეთი, ახალი სიოჰქრის, ახალ გეგმაზედ შენდება რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება და გარეგნულათ მაინც უახლოვდება მთავრობა საზოგადოებას, მაგრამ რასპუტინი და „რასპუტინიზმი“ მაინც თავის თავად რჩებიან და მათი აღმოფხვრა, სჩანს, შეუძლებელი ყოფილა. რასპუტინი და კულტურა—ეს ხომ ცეცხლი და წყალი ერთათ მოუთავსებელი, მაგრამ

ყველაფერ შესაძლებელი ყოფილა. თქვენ უკვე გეცოდინებათ, აქ არეულობა იყო წვრილი ფულის გამო.

ორი დღის განმავლობაში ვერსად ქაღალდის ფულს ვერ დაახურდავებდით. იძულებული იყავით ან სახლში დარჩენილიყავით, ან და აბაზის მაგივრად 1 მანეთი მიგეცათ.

მთელი დღის განმავლობაში მთელს ქა- [illegible] ხალხით იყო გაჭედილი, რადგან მუქთათ დასეირნობდნენ; ქაღალდის [illegible] ახურდავებდნენ და წვრილს [illegible]

განაპირა უბნებში გამხეცებულმა ბრბომ მაღაზიები დაამსხვრია და პატრონები, ვინც კი ხელში ჩაუვარდა, უწყალოთ სცემა. არეულობა დიდ სახის მიღებას ლამობდა, რომ სახელმწიფო ბანკს დროზე ორი მილიონი წვრილი ფული არ გამოეშვა და ეხლა ქალაქში სულ 1915 წლის ახალი მოჭრილი ფული ტრიალებს. ხმები დადის, გამოძიებას ნიშნავენ რადგან ფიქრობენ, რომ ეს ამბავი ვაჭრების მიერ იყო განზრახ მოწყობილიო.

ორი სამი დღის წინეთ ტრამვაის ვაგონებში შეუმჩნევიათ საეჭვო პირნი, რომელნიც დიდ ფულს ახურდავებდნენ და ზედმეტს იღებდნენ...

პეტროგრადი 24 მარიამ.

ლ. ჯ—იძე.

## ჩვენი სოფელი დღეს

ტანჯვაა დღეს სოფელში ყოფნა. დაცარიელებული, სამგლოვიარო ძაძით მოსილი, საყვარელ შვილებზედ რაღაცა დიდ, შემზარავ ამბის მოლოდინში ყოველ წამს, ღრმა ფიქრს და დუმილს მისცემია დღეს იგი. ძლიერს სულიერს მოძრაობას, დიდს სულიერს ტანჯვას განიცდის. მომავალში, როცა შეიკრიბება ის ლეგენდები, თქმულებანი, ნუგეში და იმედები, რომელიც ტრიალებს დღეს ჩვენ ხალხში, მაშინ გადაიშლება მომავალ თაობის წინაშე თავისებურობით მომხიბლავი, ღრმა აზრით სავსე, დღევანდელი სულის კვეთება ჩვენი ხალხისა. დღეს კი, როდესაც ეს მოსიარულე თქმულება და შეხედულობა ჯერ არ დალეკილა, როდესაც ვიცით მათი ისტორიული სარჩული—შეიძლება სავსებით არა ვგრძნობდეთ მის ღირებულებას, მაგრამ მომავალში, იგი გადგვიშლის დიდს ისტორიულ მომენტის კაეშანს, გადგვიშლის და დაგვანახვებს თუ რა იყო საზრდო და შინაარსი ჩვენ ხალხის სულიერ მოძრაობისა ამ იშვიათად საგულისხმიერო დროს, როდესაც ნახევარ საქართველო ლაშქრათაა წასული;

ძალიან ძნელია ოდნავ მაინც დაახასიათოს ეს სულიერი განცდა ჩვენი ხალხისა იმ, შედარებით მდიდარმა, სტატისტიკურმა ცნობებმა, რომელსაც გვაწვდიან უხვად ჩვენი კორესპონდენტები—შესახებ მოუსავლობისა, დალუპულთა და დაზარალებულთა. ცოცხალ ადამიანთა სულიერი განცდა სულ სხვაა თავის პირველი სახით და სხვაა ციფრებით და ცნობებით გადმოცემული. უკანასკნელი უფრო თეატრალური დეკორაციაა, სადაც ხდება ისტორიული დრამა მწარე აწმყოს განცდისა და მომავლისაკენ გზის გარკვევისა.

სწორედ ამ ისტორიულ დრამაში იშლება ხალხის ძლიერი პიროვნება, გამოსჩანს მისი ისტორიული სახე.

იშვიათად ინახვის ჩვენი ხალხი ისეთს გაძლიერებულს სულისკვეთაში, ისეთ სასოებაში და ღრმა ფიქრში ჩავარდნილი, როგორც დღეს არის.

ხალხის ასეთს სულიერს მოძრაობას განხორციელების მრავალი სახე აქვს მის ცხოვრებაში.

სიზმარს, ნანახს და გაგონილს, ფანტაზიას, აზროვნებას და გამოთქმის კილოსაც კი განსაკუთრებითი, დღევანდელი დღის ნიშანწყალი აზის.

სრული, სერიოზული შეგნება დღევანდელი მომენტისა და საკუთარი მდგომარეობისა განსაკუთრებითს ელფერს აძლევს დღეს ხალხის ცხოვრებას.

შინ თუ გარეთ, ეკლესიაში თუ სადმე სხვაგან, ლხინში თუ ჭირში, ოჯახში თუ მეზობლობაში ყველგან სდევს ჩვენ ხალხს დაღი ამ შეგნებისა. არ მახსოვს ეკლესია ხალხით ისე სავსე, როგორც ეხლა, ამ მოუცლელობის დროს. ღრმა სასოებით არის აღბეჭდილი მისი ლოცვა, ღვთაებრივი ღიმით—მისი სახე. ნუ იფიქრებთ, ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემოდეს, ეძებდეს აქ ძალას, რომელსაც მთელ თავის არსებობას მიანდობს. არა, აქ ხალხი მხოლოდ დროებითს ნუგეშს ეძებს, გულს აყოლებს, სევდას იქარწყლებს, ძვირფასს შვილთ ავედრებს.

მხნელს, მშველელს, ხელის გამშლელს დღეს თავის თავის მეტს არავის ხედავს. და ეს არ უნდა ჩამოერთვას ჩვენ ხალხს ნაკლად უმაღლესი რელიგიოზური გრძნობისა. არა, ჩვენ ხალხს აქვს უზენაესი, უფაქიზესი გრძნობა სიყვარულისა, მაგრამ გრძნობა განთხეული და განსხურებული ამ ქვეყნათ, დანერგილი კაცთა შორის, იმ სოფლის ამ სოფლად დამყარებელი; გრძნობა ხორც შესხმული, მსხვერპლ-შეწირი.

მოთადარიგე ნიკა კეთილაძემ დასტოვა ჯანით და ღონით სავსე ახლად მოყვანილი პატარძალი. შეება ცხოვრების მძიმე უღელს ქალი ცალად, შრომას არ უშინდებოდა, ჯაფას შუა ქმარზე ფიქრობდა, დარდი იტაცებდა, მასთან იყო აზრით და სულით. დრო მიდიოდა, იმედს არ ჰკარგავდა. მაგრამ დაუბრუნდა წერილი უკან; ნიკა ველარ ეპოვნათ. ელდა ეცა, გაჰყვა აზრს, ფიქრს იქ, სადაც ნიკა ეგულებოდა და... გარდაიცვალა.

ამბავი დაუჯერებელი საზოგადოების ჩვენისთანა წრეებისათვის, მაგრამ ამბავი ხშირი და ყოველდღიური ჩვენ გლეხთა ცხოვრებაში.

მეორე გლეხს ზაქი ჰყავდა ცალად. წინად გაყიდვას უპირებდა, რამე, მუშტარს ეძებდა. დღეს გაუჭირდა, მყიდველი კარს მოადგა, ფასი აუწია. მაგრამ ცივი, უკმეხი უარი მიიღო—შვილები მთლად, ცოლიან-შვილიანათ, ზაქს კი არ გავიმეტებ, ძმასავით ჰყავდა შეზრდილი ჩემს შაქროს (ომშია) და შვილსავით გადაეხვია მართლა შვილსავით მოვლილს პირუტყვს.

გლეხი ი. ბ—ი ბანს აღარა შორდებოდა, იქ ეძინა, იქ სადილობდა, ახრა ექნა, როცა ბანზე ჰყვარებოდა ყოფნა მის ომში წასულს ძმას და დღეს ის ძმის სიყვარულს ასე იკლავდა, დარდს ასე ინელებდა.

აი ასეთია ხალხში გრძნობა ღვთაებრივი, სიყვარული წმინდა, რომლის უფაქიზესი და უმაღლესი აღარა უნდა იყოს.

გადაიშალა დღეს ეს გრძნობა რაღაცა ბუმბერაზად და შეადუღა ნთელი სამშობლო; ადამიანი თუ პირუტყვი, ცხოველი თუ მცენარე ერთის გრძნობით შეაკავშირა; საერთო სიყვარულს ეპკურა ყველა და ყველაფერი და წარმოგვიდგა თვალწინ სამშობლო ვაჟა-ფშაველასი, ფიქრით მოცული მთებით, მოკამკამე წყაროთი, მომჩივარი ფესვებით და მოადამიანე შვილის ნუკრით.

შეუძლებელია, აქ აღიძრას საკითხი ურთიერთ დაშორებისა, გაქცევისა, სამშობლო კერის მიტოვებისა, რა გინდა დიდი იყოს გაჭირვება.

ამოძრავდა ხალხი, გაათკეცა და გაასკეცა შრომა. მჭიდროდ მიუდგა ერთმანეთს. არასოდეს თვითმოქმედებას არა ჰქონია ჩვენს უუფლებო ქვეყანაში ისეთი ადგილი, როგორც დღეს.

ფეხმძიმე დედაკაცი ვაჟკაცის საქმეს აკეთებს, რვა წლის ბაღანა—გოგოს კალოს ხარი გაუდის, მძიმედ დატვირთულ ურემს მოაყოლებს.

კულტურულ-ეკონომიური დაწესებულებანი—ბანკები, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, სასოფლო სავაჭრო სახლები, ხომ ციებ-ცხელებიან მუშაობაში არიან, აჩქარებით, დაუსვენებლივ ეწევიან დიდს სამსახურს ხალხის წინაშე.

ამ დიდ საქმეში ხალხსა ჰყავს თავისი მესვეურნი, თავისი ინტელიგენცია. ინტელიგენცია არა ქალაქიდამ საზაფხულო გასტროლზე მისული—იძულებითი კომპანიებით, გამუდმებული ლოთობით და თამადობით, არამედ ინტელიგენცია საკუთარი, თავისი პირმშო შვილი, ჭირშიაც და ლხინშიაც მასთან მყოფი, მისი მესაიდუმლე, მისი მხარში მდგომი. ამოძრავებულან, გამხნევებულან ესენიც. შებმიან საქმეს, მშვიდობიან დროსაც-კი ძნელად წარმოსადგენს შებმიან ხალხის ძალის მცოდნენი, მის წინაშე ღრმა რწმენის მქონენი. შებმიან და სძლევენ კიდევაც. ვინ წარმოიდგენდა, რომ სულ ერთი წლის განმავლობაში გორის ორი პატარა სოფელი არხს გაიყვანდა, საბანკო ოპერაციით ეკონომიურ აღორძინების გზას დაადგებოდა, მანქანებით შრომას აიადვილებდა; ერთი წლის განმავლობაში მარტო ერთი ორმოც კომლიანი სოფელი 14,000 საუკეთესო ხილის საწყავს ჩაჰყრიდა და მრავალს საჭიროებათ ორივ საკითხად დაისახავდა.

ბლგან, თითქმის ყველგან ასეთი ამოძრავება, ასეთი სიცოცხლე ეტყობა.

უსურმა შემთხვევამ მეჯრუსხევში ამიყვანა. შევხვდი ადგილობრივ მოღვაწეთ.

ვუსმენდი და ვკვირდებოდი, სევდა მეყრებოდა გულიდამ, იმედი მეძლევოდა, რწმენა ჩვენი საქმისა, რწმენა ღრმა და მტკიცე მტკიცდებოდა, მცვლიდა. ბ-ნი თულაშვილები და ადგილობრივი დურგალი მიამბობდნენ სოფლის ამბავს. ჩემ წინ იშლებოდა სურათი მშვენიერი, შეწონილი მოქმედებისა სოფლის საკეთილდღეო სურათი ნაკურთხი და ხორცშესხმული მოღვაწეთა გატაცებულის რწმენით.

დიდი ხანია მუშაობს ბანკი, გაუხსნიათ კოოპერატიული მაღაზია, ხალხი აღზრდილა, დაუნახავს და შეუგნია თუ რაშია ძალანა.

მესვეურნი ყველგან დიდის მოწიწებით და მადლობით ახსენიებენ ხალხს, სჯერათ და სწამთ მისი თანაგრძნობა და თავგამოდება კეთილ საქმისათვის, სწამთ, რადგან იცნობენ ხალხს, იციან მისი ძალა, მისი შემძლებლობა.

მესვეურნი ცოტა არ იყოს კრძალვით მეუბნებოდენ მიხწეულ გამარჯვებაზედაც. აღარა სჩანან „ქოლვიანები“ ტომრებით, „ნათლიმამებთან“ ევზეკუციათ ჩამომხტარნი; ისპობა ჩარჩობა, ისპობა მევახშეობა, რომელიც საშუალო საუკუნის ბურუსში ახრჩობდა ჩვენ ხალხს, უმონავებდა შრომას, უხუთავდა ცხოვრებას. საქმე კიდევ წინ მიდის. ხალხი გრძნობს საერთო მდგომარეობას, საერთო გასაჭირს, თავის მოვალეობას ამ გასაჭირის წინაშე და მოქმედების შესაფერ გზასაც ირჩევს. საპატიო ადგილი გაზეთს უჭირავს და იცის ხალხმა ამ გაზეთიდამ, რომ დაიშა ნახევარი საქართველო,

იცის და აი რას ადგენს ერთი საზოგადოება, სადაც ლუკმა შეიძლება მოინარჩუნონ: არ გაჰყიდონ მარცვალი გარეთ, რაც კი გასაყიდი პური, ქერი ან სიმინდია, მოაგროვონ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასთან, რათა მიაწოდონ იმ მოძმეთ, საცა გაჭირვება დიდი იქნება. აი ნამდვილი, საღი მამულიშვილობა.

ასეთია დღეს ჩვენი ხალხის სულის კვეთება, მისი სულიერი მოძრაობა, მისი პერსპექტივა.

ამოძრავდა ხალხი და გამოიჩინა საუკეთესო, საღი სულიერი თვისებანი, სულიერი ძალა. დადგა დღე გაჭირვებისა და გადიშალა ჩვენ წინ მრავალი ტანჯვის ამტანი საქართველო თავისი ისტორიული სახით. გადიშალა და არ შეგვიძლიან არ დავიჯეროთ მისი ხანგრძლივი, კეთილშობილი წარსული, არ ვეტრფოთ მის უკვდავების, გამამხნევებელს ძალას.

შ. ივერი.

# ახალი ამბავი

**კომპასების საჭიროება.** სამხედრო-საინჟინერო უწყების ცნობით, ჯარებისათვის დიდძალი კომპასია საჭირო. ამის გამო კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი სთხოვს თბილისის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს, რომ შეეცადეთ კომპასების დამზადებასო.

**გამოქცეული სომხები.** როგორც ექიმი ოგანჯანოვი იტყობინება, ეჩმიაძინში ამ ჟამად 27.000 გამოქცეული სომეხი ბინადრობს. მაგრამ მათი ბინა არის ტყე და მინდორი, ხოლო მათ ლოგინს შეადგენს ცივი ნოტიო მიწა. ამის გამო ავადმყოფობა გამეფდა მათ შორის. დღეში, ოგანჯანოვის ცნობით, 300-დე ადამიანი იხოცება, მომეტებულად ქალები და ბავშვები. დანაპირები სავადმყოფონი და სხვა დახმარება ჯერ არსაიდან სჩანს. დოლიარში გაუგზავნიათ ეჩმიაძინიდან 1.400 სული, მაგრამ ათასგვარ გაჭირვებისაგან ისინიც გზაში იხოცებიან.

**ვაზის წამალი.** მიწადმოქმედების დეპარტამენტი შეეკითხა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომ 1916 წლისთვის თქვენს რაიონში რადარა ე რამდენი მასალა იქნება საჭირო ვენახების საწამლოდო. კომიტეტმა დეპეშით შემდეგი პასუხი მისცა დეპარტამენტს: საჭირო დარჩება შაბიამანი 50,000 ფ., გოგირდი 100,000 ფ., პოლისულფიდი (გოგირდის ნაცვლად ხმარობენ) 1.000 ფუთი, პარიზის წვანილი (ვაზისა და სხვა მცენარეულობის ჭიების წინააღმდეგი წამალია) 500 ფუთი და სეტყვის წინააღმდეგი რაკეტები (მაზხალა) 3.000 ცალი. სასურველია, ეს მასალები თვით დეპარტამენტმა შეიძინოს, ხოლო მათი გაყიდვა მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტს უნდა მიენდოსო.

**დირექტორის დამტკიცება.** თბილისის მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის საბჭოს მიერ არჩეული ამ გიმნაზიის დირექტორად ა. დ. საფაროვი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა თანამდებობაზე.

**მკვლელობა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ თელავიდან, ყაჩაღი ივანე არაბაშვილი თავისი ამხანაგებით სახლში შესჭრია ძველ გავაზში (თელავის მაზრა) ივანე ჭანკოტაშვილს, რომლის ჯავრი სჭირებია და მოუკლავს.

**დაჯარიმება.** მაგარ სასმელების მალულად გაყიდვისათვის გუბერნატორმა დააჯარიმა: გიორგი შახნაზაროვი, ილია სულხანოვი და ივანე ჩიხლაძე ას-ასი თუმნით, ხოლო არუთინ დარჩინოვი—100 მანეთით.

**სიმთვრალისათვის.** გუბერნატორმა ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა ივანე ზუმბულიძეს, რომელიც მთვრალი ნახეს ქუჩაზე.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.** თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი ჯარისკაცნი: ჩხეიძე ნესტორ ალექსანდრეს ძე, მენაბდიშვილი იოსებ გიორგის ძე, ბალიაშვილი ვასილ მიხაკოს ძე, კაზაშვილი ვასილი ზალიკოს ძე, მიმინაშვილი გიორგი არნ., მოდებაძე ანტონ სპირიდონის ძე, ნიკო ბარიძე ოქროპირ ზაშ., ეფრემიძე იოსებ ნიკოლოზის ძე, ქუმბერიძე ამბროსი.

**ხოლერა.** 31 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 5 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 3 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 119 და ხოლერის ნიშნებით 12 კაცი. ხოლერიანთა შორის 25 კაცი სამხედრო წოდებისანი არიან, ხოლო ხოლერის ნიშნებიანთა შორის 3 კაცი სამხედრო წოდებისა.

**გადამდები სენი.** 1 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ყვავი სახადიანი 45, ქუნთრუშიანი 31, სოფლიანი 30, ხუნაგიანი 18 და მუცლიანი 6 კაცი.

**შეწირულება.** ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა შესწირა ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას თავისი ახალი თხზულების, სახელწოდებით „მესხეთი", 1000 ცალი· წიგნი წარმოადგენს მესხეთის აღწერილობას ისტორიულად და გეოგრაფიულად. შენაწირი წიგნების გაყიდვით რამდენი ფულიც შემოვა, საქველმოქმედო საზოგადოებამ უნდა მოახმაროს მესხეთის მაჰმადიან ქართველებს,

**ჯემალი და ჯელიდი დიასამიძენი.** წარსულ წლის მიწურულში, როცა აჭარას დიდი უბედურება დაატყდა თავს, თბილისში ჩამოვიდა აჭარელი დიასამიძის ქვრივი, რომელმაც თან ჩამოიყვანა თავისი 3 პატარა შვილი—ჯემალი, ჯელიდი და ერთიც ამათზე უმცროსი ავადმყოფი ქალი. ქვრივ-ობლებმა პირველად თავი შეაფარეს პატივცემულ ნინო და ილია ნაკაშიძეების სახლს; შემდეგ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აღმოუჩინა მათ ერთდროული დახმარება. რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა აჭარლები თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა თავისს მამულში, ქიურში, წაიყვანა; მას აზრად ჰქონდა, მებაღეობა შეესწავლათ ბავშვებს. ბოლოს თავიანთი სიმკვირცხლით და ნიჭით სამართო ყურადღება მოიპყრეს პატარებმა: უფროსი ძმა, ჯემილი, ქართულ გიმნაზიაში მიაბარა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა და თავისის ხარჯით უპირებს აღზრდას, ხოლო ჯელიდი გორში მიჰყავს თავადის ქალს ელენე ზ. თარხნიშვილს და ვარლამ გელოვანის სახსოვრად უპირებს აღზრდას.

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 2 ენკენისთვეს, ხარფუხის კლუბში (მიხ. პროსპექტი № 13) გაიმართება ქართული წამოდგენა. ვ. გუნიას, გ. აბაშიძის და სხვათა. მონაწილეობით. **წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.** დასაწყისი საღ 9 საათზედ.

**გურჯაანის** შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობას შეუკვეთია ფრიდონოვის ფირმისათვის 4.000 ფუთი შაბიამანი და 5.000 ფუთი გოგირდი იმ მაზანდის კვალობაზე, როგორც მიწადმოქმედების დეპარტამენტისაგან იქნება დაწესებული. ხსენებულ ამხანაგობის გამგეობა ეხლა სთხოვს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომ, როცა ხსენებული მასალა საზღვარ-გარეთიდან რუსეთში შემოვა, იმის გადმოსატანად გურჯაანამდე საკმაო რიცხვი ვაგონებისა გვიშოვეთო.

**კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, კრება უნდა შესდგეს ტიბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტთა თბილისში მცხოვრებ იმ აგენტებისა, რომელთაც მინდობილი აქვთ თვალ-ყური ადევნონონ ყურძნის ღვინის დაყენებას. შენახვას და გაყიდვას. კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ კორვინ-პავლოვსკის, სურს, ჯერ-ჯერობით ამათთან მოილაპარაკოს იმ საკითხების შესახებ, რომელნიც ახლო მომავალში კომიტეტმა უნდა განიხილოს მიწადმოქმედების დეპარტამენტის უფროსის, ა. ი. შახნაზაროვის, მონაწილეობით.

**დირექტორი შედი.** ურმიიდან თბილისს ჩამოვიდა და აქედან პეტროგრადით და შვეციით ამერიკაში გაემგზავრა დოქტორი შედი. ეს კაცი არის ამერიკის შეეროებულ შტატების მოქალაქე და ცნობილია, როგორც ენერგიული მისიონერი ურმიაში. ამ შედმა წარსული წლის მიწურულში, როცა ურმიას ქურთები დაეცნენ, 18,000 ასირიელი შეაფარა ამერიკის მისიას და ამ რიგად ისინი აწიოკებასა და ამოჟლეტას გადაარჩინა. გარდა მისიონერობისა დოქტორის ბედი ცნობილია, როგორც სწავლა - განათლების გამავრცელებელ ურმიის ასირიელთა შორის. მისისა და მისი ამხანაგების მეცადინეობით იქ დაარსებულია ვაჟთა გიმნაზია, ქალთა სემინარია და მრავალი პირველდაწყებითი სკოლა. სწავლა სწარმოებს სამშობლო, ასირიულ, ენაზე; შემდეგ სამშობლო ენისა პირველი ადგილი უჭირავს ინგლისურ ენას, ხოლო იმის შემდეგ—სპარსულ ენას. სამაგალითოა, რომ როგორც ბ ნმა შედმა ილაპარაკა ერთ განათლებულ ქართველ ოჯახში, სპარსეთის მთავრობა სრულებით არ ერეოდა სწავლა-გნათლების საქმეში, ე. ი. მთავრობის მხრივ არავითარ დაბრკოლებას არ პოულობდნენ მისიონერები; სასწავლებლების პროგრამას თითონ ადგენდნენ და სწავლა-აღზრდა სასწავლებლებში დაუბრკოლებელი იყო სპარსეთის მთავრობის მხრივ. საზოგადოდ ომის დაწყების წინა დრომდისინ ასირიელებსა და მუსულმანთა შორის სრული თანასწორობა ყოფილა, ხოლო სხვადასხვა „მოლვაწეებს" მერმეთ აუტეხნიათ მტრობა მათ შორის.

**წლევანდელი ღვინო.** როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, წლეულს ჩვენში ღვინის ჩვეულებრივ მოსავალს დააკლდება 50—90 პროცენტამდე. მაგრამ, როგორც ეხლა ირკვევა, ის ღვინოც არაფრად ეღირება, რომელიც უნდა დადგეს. თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, კახეთსა და ქართლში ყურძენი მილეული და ძალზე მჟავეა. მარცვლები ისეა დაკვეჭლებული, რომ მათი დამწიფების იმედი აღარ არის. თბილისის გუბერნიაში წელს, არა თუ გასასყიდი, სამყოფი ღვინოც არ დადგება, ისიც ნამეტანი ცუდი ღირსებისა.

## რუსეთის ცხოვრება

**შეკითხვა.** სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს შეკითხვა შემდეგ საგანზე:

კანონის ძალით ადმინისტრატიულად გადასახლებულებს ხაზინისაგან ფული ეძლევათ ლუკმა პურისა, ტანისამოსისა და ფეხსაცმელისა. სანოვაგის ფულს, თვიურად ურიგებენ, ხოლო ტანისამოსისა წელიწადში ორჯელ: შემოდგომაზე, ზამთრის დადგომისას და გაზაფხულზე ზაფხულის მოახლოებისას. როგორც გამოირკვა ენისეის მაზრალი გადასახლებულებს ძალიან უგვიანებენ ხვედრ ფულის მიცემას. მთელი ოთხი ხუთი თვე ისე გაივლის თურმე, რომ ერთ კაპეიკსაც არ იღებენ.

---

**ლოცვა-ვედრება.** ხელმწიფე იმპერატორის მიერ სარდლობის მიღების დღეს მთელს რუსეთში ეკლესიებსა თუ ქუჩებში საყოველთაო ლოცვა-ვედრება გაიმართა. გულმხურვალედ სთხოვდენ უფალს მტერზე გაამარჯვებინე რუსეთის ძლევამოსილ მხედრობასაო.

---

**ხმები სათათბიროს დათხოვნის შესახებ.** ტავრიდის სასახლეში დაჟინებით ლაპალაკობენ, საცაა საკანონმდებლო პალატებს დაითხოვენო. ირწმუნებიან, ამ საკითხის გარშემო მთავრობის წრეში ორი სხვადასხვა მიმდინარეობა არისო. ერთი ნაწილი მომხრეა სესიის შეწყვეტისა, მეორე კიდევა—მისი გაგრძელებისა. სამხედრო მინისტრ პოლივანოვთან საუბარი ჰქონდათ დეპუტატებს ბობრინსკის, დემჩენკოს, სოვენკოს და კრუპენსკის. საუბრის დროს შეეხენ სათათბიროს დათხოვნის საკითხს. თუმცა პოლივანოვს გარკვევით არა უთხვამს-რა სათათბიროს დათხოვნის შესახებ. მაგრამ გაკვრით მაინც აცნობა დეპუტატებს, იგი მომხრეა საკანონმდებლო დაწესებულებები განაგრძობდნენ მუშაობას. დეპუტატებმა განაცხადეს, სახ. სათათბიროს მუშაობა ასეთ მომენტში ფრიად საჭიროა პოლიტიკური თვალსაზრისით და ეხლა დეპუტატების დაბრუნება თავ-თავის საარჩევნო ოლქებში ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენსო. შინაგან საქმეთა მინისტრი შჩერბატოვიც მომხრეა, რომ სახ. სათათბირომ მუშაობა გააგრძელოს.

შჩერბატოვს საჭიროდ მიაჩნია მთავრობა მუშაობდეს ხმა შეწყობილად საპარლამენტო შეთანხმებასთან და მასთან მუდმივ კონტაქტში იყოს. ასეთივე აზრი გამოუთქვამს უცხოეთში წასვლის წინ ფინანსთა მინისტრს, ბ-ნ ბარკს. მაგრამ როგორც ამბობენ ოქტომბრამდე სახელ. სათათბიროს დათხოვნის მომხრეა თვით თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოსი და კაბინეტის ზოგი სხვა წევრიც. საპარლამენტო ბლოკის წარმომადგენლები შეუძლებლადა სთვლიან სათათბიროს დათხოვნას.

მემარცხენე ნაციონალისტებმა განუცხადეს სახ. სათათბიროს თავმჯდომარეს, როძიანკოს რომ მათ ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნიათ სახ. სათათბიროს დათხოვნა ასეთ დროს.

---

**ბრძოლა ბინის სიძვირის წინააღმდეგ.** სარატოვის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალით სამი ათასი მანეთი ჯარიმა გადახდება ანუ სამი თვის ციხე მიესჯება, ვინც ბინის ქირას ასწევს ანუ წინდაწინ ერთ თვის ქირის მეტს მოითხოვს.

---

მოსკოვის მთავარმართებელმა თავადმა იუსუპოვმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალით აკრძალულია ბინისა და მოწყობილი ოთახების ქირის აწევა. ამ წესის დამრღვევს ანუ სამი ათასი მანეთი ჯარიმა გადახდება, ანუ სამი თვის ციხე მიესჯება.

## პოლონელთა შორის

**პოლონელების „ორიენტაცია".**

პოლონელების პეტროგრადული ორგანო Dziennik Petrogradski ეხება იმ პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც იმ თავითვე მიიღეს ეგრედ წოდებულ „სლავიანთა თანაზიარობის" მომხრე პოლონელმა მოღვაწეებმა. გაზეთის აზრით, ამ გვარ ორიენტაციას ომის დასაწყისში შეიძლება გასამართლებელი საბუთი ჰქონიყო, რადგანაც მთელი ევროპის პრესა, წინასწარმეტყველის სიმტკიცით, არწმუნებდა ქვეყანას, რომ შეთანხმების სახელმწიფოები შემუსვრიდენ ავსტრია-გერმანიას. ომის დაწყებისას გამოტანებული. ამგვარი რწმენა, ეჭვი არაა გავლენას მოახდენდა პოლონელ ხალხის მოღვაწეებზე და ხელს შეუწყობდა პოლონეთის პოლიტიკის გადახრას რუსეთისა და საფრანგეთ-ინგლისისკენ. ეს უბრალო სიმპატია-ანტიპატიის საკითხი კი არ იყო, არამედ საკითხი პირადად პოლონეთის ინტერესის დაცვისა და ეროვნული სარგებლობის გამორჩენისა. სიკუთარი ინტერესის მიხედვით წარმოებული ორიენტაცია და გადასადგმელი ნაბიჯები უნდა იცვლებოდეს გარემოების მიხედვით. ამას არა ვხედავთ „სლავიანურ ორიენტაციის" პოლონელებს შორის. ერთხელ აღებული ორიენტაცია ურყევ ბურჯად გადიქცა და სიკვდილამდე მას ებღაუჭებიან, თუმცა ირგვლივ ყველეფერი ძირიან-ბუდიანა შეიცვალაო, საყვედურის და მწარის კილოთ შენიშნავს გაზეთი.

**პოლონელთა კონფერენცია.**

გერმანული გაზეთები ცნობებს იძლევიან იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც დღეს ვარშავაშია გამართული. ამ კონფერენციაზე დასასწრებლად ვენიდან ჩამოსულან წარმომადგენლები ეროვნული კომიტეტისა, პოლონელურ ლეგიონისა და სხვა პოლონურ ორგანიზაციებისა. 17 აგვისტოს შემდგარა პირველი კონფერენცია ჩამოსულ დელეგატებისა და პოლონეთის სამეფოს ზომიერ პარტიათა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან. ირჩეოდა პროექტი დეკლარაციისა, რომელიც შეეხებოდა პოლონელთა პოლიტიკურ მდგომარეობას. ახლო დღეებში განზრახულია კონფერენცია იმის შესახებ თუ რას ფიქრობს ავსტრო-გერმანია პოლონეთის მომავალზე.

## ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი

(დასასრული, იხ. „საქართ," № 81).

პ. იოსელიანს ბევრი მოკეთე და მომხრე ჰყვანდა, ბევრი პატივისმცემლები, მისი მწერლობის დამფასებელნი. ამის საფუძვლად ისიც კმარა ვსთქვათ, რომ მას ქართველებში საერთოდ „ფილოსოფოსს" უწოდებდნენ. ამას გარდა ზოგნი მოწინააღმდეგენიც ჰყვანდა და მყვედრებელნი მისი, რომ პ. იოსელიანმა თავისი დრო სულ რუსულ ენაზე წიგნების წერას და ბეჭდვას შეალიაო და ქართულად კი ერთი წიგნიც არ დაბეჭდა ისეთ დროს, როცა ქართველებში ქართული წიგნი სანთლითაც რომ გეძებნათ, ერთ ანბანის წიგნსაც ვერ იპოვნიდითო. სწორედ ასეთ მყვედრელ ჯგუფს ვეკუთვნოდი მეც და პ. იოსელიანს ხშირად ვყვედრიდი კიდეც საუბრის დროს. პ. იოსელიანი პირადათ მე გავიცან 1873 წ. გაცნობის მიზეზი გახლდათ ჩემგან მისი წიგნების სყიდვა. ამ დროს იგი სოლოლაკზე იდგა, თავის საკუთარს სახლში და ცოტა უქეიფოთ იყო.

წიგნების ფული გადავეცი. ესიამოვნა ჩემი გაცნობა. ვისაუბრეთ. საუბარში სერგეი მესხს ემდურებოდა, გაზ. „დროებამ" ქართული ენა გარყვნაო. მე არაფერი ვუთხარი. ამის შემდეგ ხანდისხან დავდიოდი და ყოველთვის მსურდა გამომეკითხა მიზეზები თუ იგი მარტოდ რუსულს ენაზე რად სწერდა და ბეჭდავდა წიგნებს. ერთხელ ვკითხე:

უფალო პლატონ ეგნატიჩ! თქვენ ამაგდარი კაცი ბრძანდებით, მაგრამ ცოტა საყვედურიც შეიძლება მოგახსენოთ: ის წიგნები, რაც რუსულად სწერეთ და ბეჭდეთ ჯერედ ქართულად უნდა გეწერათ და გებეჭდათ და მერე რუსულად გეთარგმნათ...

ამაზე მიპასუხა:

მე და ჩემ შრომას რომ ჰკიცხავენ, ეს მე კარგად ვიცი, ლაპარაკობენ, რომ რუსულად რათა სწერდაო, რატომ ქართულად არ სწერდა და ბეჭდავდაო. მართალია ჩემს წიგნებს უმეტესად ქართველები [illegible], მაგრამ არც რუსები [illegible], რუსეთში უფრო ბევრი იყიდებოდა ჩემი წიგნები, ვიდრე საქართველოში. ქართველებში თუ კითხულობდა ოცი, რუსეთში ათჯერ მეტი იყო ჩემი წიგნების მკითხველი, საქართველოს მეტად მდიდარი წარსული აქვს, ძველი საქართველო იყო ძრიელ მშვენიერი, განვითარებულ გზაზედ დამდგარი, აწინდელ ქართველობაში კი ლოთობის და ყეყმანობის მეტი სხვა არა გაისმის რა.

მშვენიერს და ძვირფას საქართველოს ისტორიას ვსწერდი მით უფრო რუსულ ენაზედ, რადგანაც მე მსურდა, რომ ამ ძვირფას ქვეყნის და ერის ისტორია რუსებს წაეკითხათ და გაეცნოთ საქართველოს წარსულის მნიშვნელობა, ამას ითხოვდა თვით ჩვენი მაშინდელი მდგომარეობა, რადგანაც რუსები ქართველებს და საქართველოს სულ არ იცნობდნენ. რუსები ქართველებს ისე უმზერდნენ როგორც ნადირ ხალხს, როგორც ბრბოს, როგორც უმეცრებს, უმეცრული წარსულის პატრონთ. ასე გვიყურებდნენ ასე გვაფასებდნენ ჩვენ. ქართველები ასე ვიქმენით რუსების წინაშე ცნობილი.

ეს კიდევ არაფერი, ამაზედ მეტს დიდს რისხვას კიდევ სხვა პირობებიც შეადგენდა. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ, პირველ წლებსვე ქართლ-კახეთის და იმერთ მეფეთა ძენი და მონათესავენი სულ რუსეთში გადაასახლეს, ყველა მათ საცხოვრებელ ბინათ მისცეს პეტროგრადი და მოსკოვი. ასეთ ბატონიშვილებთა რიცხვი საკმარისი იყო, ყველა იგინი რუსეთში სცხოვრობდენ ღარიბათ და უბედურათ, რუსები მათ ბატონიშვილებათაც არ სცნობდენ და ხშირად თათრის ხანებსაც უწოდებდნენ. ბატონიშვილები ძრიელ დაჩაგრულები ჰყვანდათ, იგინი გაჯავრებულნი იყვნენ

ყველაფერი ეს მოსდიოდათ მით, რომ რუსები ქართველებს არ იცნობდენ და ქართველები კიდევ არა სცდილობდნენ მასზედ, რომ საქართველო რუსებისთვის თავის წარსულის ღირსებით გაეცნოთ. აი მე სწორედ ამიტომ ვსწერდი რუსულად და ვბეჭდავდი. ჩემს წიგნებს დიდის სიამოვნებით კითხულობდნენ საქართველოს ყველა მთავარ მართებლები, ყველა ეგსარხოსები და ამათ გარდა რუსის ადგილობრივ ყველა გენერლები და სამხედრო კაცები. ასევე მოხდა, როცა 1837 წ. საქართველოში რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე გიახლათ, მე სიტყვა მოვახსენე, სიტყვა სიამოვნებით მოისმინა, სიტყვაში ანუსხულია ძველი საქართველოს ღირსება და მნიშვნელობა, ამის გარდა, მე მივართვი ყველა ჩემ მიერ დაბეჭდილი რუსული წიგნების თითო ცალი, რაც სიამოვნებით მიიღო მან, ამის გარდა მანვე ნახა მცხეთის ტაძარი, ასევე სიონის და ზოგიც სხვა ასეთი ძველი ნაშთები, მასთან წაიკითხა ამათ შესახებ ჩემი ცნობები, რითაც იმპერატორმა ბევრი რამ გაიცნო მერე, ყველა ამაებით აი რა მოხდა, ხელმწიფემ კარგად გაიცნო საქართველო და ქართველი ერის წარსული და ღირსება. ამ გაცნობის შემდეგ ქართველებზედ შეხედულებაც შეიცვალა, საქართველოს წარსულის შემდეგ. რაკი იგი რუსეთში ჩარეოდა, მაშინათვე მოიკითხა ქართველთ ბატონიშვილი და იმათი ცხოვრების არსებობაც გააუმჯობესა, თორემ ერები იქ მეტის მეტ უმწეო მდგომარეობაში იყვენ და თითქმის სილატაკეში. სიბინძურეში და ლოთობაში ლევდენ თავიანთ დღეებს, რასაც მუდამ თან სდევდა მათი გაჭირვების მიზეზები და სიღატაკე. ამის შემდეგ რატიშვილების ცხოვრებაც ცოტათი ადამიანურს ცხოვრებას დაემსგავსა. სურათი შეიცვალა ცხოვრების. ამ ბატონიშვილებს გარდა ქართულ ენისა და ისტორიისაც სხვა თვალით დაუწყეს მზერა.

ასეთი ნაყოფი მოჰყვა ჩემ მიერ რუსულად ნაბეჭდ ისტორიულ წიგნებს და გაზ. „დროება" და მისი რედაქტორ-გამომცემელნი კი უალაგოდ მკიცხავენ და ჰკიცხვენ ჩემ წიგნებსაც მე უარი ვუთხარ, არა, კიცხვით არავინ გკიცხავთ, არამედ უმადურნი გახლავართ მხოლოდ მაზედ, რომ იმ დროს ქართულს კი სულ არაფერს ბეჭდავდით. ცოტაოდენი სახალხო წიგნების ბეჭვდა რომ დაგეწყოთ ქართულს ენაზედ, დღეს ჩემი საქმე წინ იქნებოდა წასული. თქვენ კი ამას ყურადღება არ მიაქციეთ და იგი 1870 წლებამდე დარჩა ხელუხლებლად.

ასეთი კილოთი საუბარი ერთხელ არ გვქონია და ორჯერ, არამედ მრავალჯერ, ვინ არის ამაში მართალი ამის ასჯავრი მკითხველმა იქონიოს იმას კი მოგახსენებთ რომ დღეს, პ. იოსელიანის ნაწერების შოვნის ხსენებაც აღარ არის და მისი ნაწერების თითო ცალი მეტად ძვირადაც ფასობს. მაგრამ შოვნა მაინც არსად არის. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღებაც უნდა მიექცეს ქართუ ისტორიულ საზოგადოებისაგან. თვით ჩვენში კარგად ცნობილი მწერალ მოღვაწე ნ. ნიკოლაძემ 1910 წლებს შემდეგ ზერჯერ მელაპარაკა ამაზედ და მირჩია, რომ ნახეთ ვინმე და მოახერხეთ. რომ პ. იოსელიანის რუსული ნაწერები გამოსცეთო. მაგრამ ჩვევში სხვა რა ხერხდება, რომ ეს მოხერხებულიყო, პ. იოსელიანის ნაწერების ბეჭდვა კი არა და ზოგნი კიცხვითაც აღარ ერიდებიან ამ პირის შრომას და როგორც ანტონ ფურცელაძეს დიდი მოურავის გამოჰკიც ხვენ სასტიკად. ყალბ მეისტორიედ რაცხვენ.

**ზ. ჭ.**

## მგზავრის დღიურიდან

„სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა“...
გრ. ორბელიანი.

ნაშუადღევს, 22 ივლისს, გავემგზავრეთ **სამთავისის** ეკლესიის სანახავად. იგი მდებარეობს 6—8 ვერსის მანძილზე **სოფ. კასპიდან** აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით.

ამ ტაძრის და სოფ. კასპის შესახებ ვახუშტი სხვათა-შორის შემდეგს გვიამბობს: „კასპი აღაშენა პირველად ქალაქი **უფლოს,** მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი“.

„რეხულას (ხევი) აღმოსავლეთით არს სამთავისი, ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას ხეობისა. ქნმული არს იგ (13) მამათაგანისა **ისიდორესაგან,** და დაფლული არს იგი მუნვე“.

ტაძრისაკენ მიმავალი გზა სწორე ვაკიანია და ძალიან საინტერესოც არის, რადგან თქვენ სულ მდინარე **რეხურას,** ანუ **ლეხურას** ხეობით მიდიხართ; ეს ხეობა კი არ არის მოკლებული სილამაზესიკეკლუცეს, მეტადრე მზის ამოსვლის და ჩასვლის დროს.

ჯერ კიდევ კარგა მანძილით ხართ დაშორებული, რომ დიდებულ ტაძარს დაინახავთ. იგი თქვენ გხიბლავთ გარეგნული სილამაზით, აგრეთვე ამ ეკლესიის ქართულ ჩუქურთმის საუცხოვო ნიმუშებით, მეტადრე შესანიშნავი ხელოვნებითაა მოჩუქურთმულ-მოხატული გარედან აღმოსავლეთი მხარე ტაძრისა!

პატივცემული პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველ ერის ისტორიაში“ (იხ. გვ. №№ 500, 502, 504) შემდეგს მოგვითხრობს: „ვისაც უნდა იმ დროინდელ (XI საკ.) საქართველოს დაწინაურებული ცხოვრება გაითვალისწინოს, მან ქართულ ხელოვნების იმ დროინდელი ძეგლები უნდა ნახოს, მაგალ. სამთავისის, ბოჭორმისა და სხვა!..

აქვე ინახება ბევრი ისტორიული ნივთები და განძეულობა, ნახმარი ჩვენი მეფეების და კათალიკოზების მიერ...

ამავე ეკლესიის გალავანში აღმართულია კაი დიდი ციხე-კოშკი.

სამთავისის ახლოს, ლეხურას ხეობაშივე მოსჩანან სოფლები ჭალა, საკორინთლო და სხვ.

დიდათ ნასიამოვნები და კმაყოფილნი ნახულით ჩვენ საღამოთი გამოვწიეთ სახლისაკენ. სადგურ კასპს რომ მოვახწიეთ, თბილისში მომავალი მატარებელი უკვე გასულიყო, ამიტომაც ჩვენ „მოსვენება“ და ღამის გათევა მოგვიხდა ცისქვეშ. მეორე დღეს, დილის 5 საათზე გამოვემგზავრეთ თბილისისკენ.

**ირმალოზ კახი.**

## ჩვენი ცხოვრება

**ს. ბოდბისხევი** (ქიზიყი). ეს სოფელი ძველს დროს დიდი შეძლების მექონე იყო და განთქმული გახლდათ პურის მოსავლით იმ დრომდის, ვიდრე ძველი შირაქი ეჭირა: საქონელიც მრავალი ჰყვანდათ: ცხვარი, ძროხა, კამეჩი და სხ. წინად ყველა ეს იყო ხალხის სიმდიდრედ აღიარებული და ბოდბისხევსაც ამ მხრივ პირველი ადგილი ეჭირა ქიზიყის ცხოვრებაში. ბოდბისხევს ქიზიყის განაპირა მამული უჭერია, ამიტომ იყო, რომ ხალხის აკლება მინდვრად და საქონლის დატაცება თათარ-ლეკებისაგან ხშირი მოვლენა იყო, თუმცა კი ძველი ჩვეულებისამებრ არც ესენი აკლებდნენ, ერთს ორად უხდიდნენ მტაცებლობითვე. გარედ თუ ლეკ-თათართაგან მტაცებლობა აწუხებდათ, არც თუ შინ იყვნენ მოსვენებულნი. სოფელშიაც ძველი გამგეების რაზმები შეედგინათ, რომელნიც სოფლის დაუკითხავად ყოველისფერს განაგებდნენ. ხშირი ყოფილა აუკრეფიათ ფოშტის ფული, ხაზინაში შეტანის ნაცვლად ერთმანეთში გაუყვიათ და მერე მეორედ გაუწერიათ. ხალხს კი მოაჩვენებდნენ ხოლმე ვითომც ძველ ნედოიმკას ახდევინებდა ხაზინა. ესა ხდებოდა არა ასი, ან ორასი თუმნობით, არამედ ათას თუმნობითაც. ვის არ ახსოვს ბალიაანთ ვანკა, ეს სოფლის სულთამხუთავი (უბრალო გლეხიკაცი), როდესაც სოფელში საითმე გაივლიდა ყოველი მცხოვრები შეშინებულნი მოწიწებით ერიდებოდნენ. ვაი ექნებოდა იმას, ვინც რასმეს გაუბედავდა, ციმბირი აუცილებელი იყო, რადგანაც მას მხარს უჭერდა მთელი პარტია სოფლის მჭამელებისა მეჭურჭლიანთ გიორგი, ბატიაანთ ნაკო, ზარეზიანთ აბედი, ბალიაანთ ნინი და სხვები. ეს ისეთი რაზმი იყო, რომელიც მინდორში ქურდებს მთავრობდა და სოფელში ხალხის ცხოვრებას. არა ერთი ოჯახი აუკლიათ, არა ერთი და ორი სოფლის საუკეთესო წევრი გადაუსახლებიათ ციმბირში და მათი ცოლები, ქალები თუ დები თვის კერძად გაუხდიათ. 77 წელში, ქიზიყის აჯანყების დროს, ამ რაზმმა ბოდბისხევს ათასხუთას თუმანზე მეტი გადაახდევინეს, ვითომც მათთვის ზარალი მიეყენებინოს ხალხს, ამ ზარალის ასანაზღაურებლად ისარგებლეს, რადგანაც მთავრობისაგან ამისი ნება ჰქონდათ ზარალი ეზღვევინებინათ. ფოშტის ფული ხომ მთლიანად ჩაყლაპეს მეორედ გააწერეს და აჰკრიფეს. შეშინებული ხალხი მათი მადის მსხვერპლად იყო გარდაქცეული, ხმას ვერავინ იღებდა. საკმარისი იყო მოეგონათ რამე, ხელად ზეკუციას ჩაუყენებდნენ და ნაცარ-ტუტას აადენდნენ. არა ნაკლებ ზეკუციისა ამ სოფლისათვის, ქიზიყში ცნობილი ჩაფარი სანდრო კობახიძე იყო. ატირებულ ბავშვს კობახიძეს სახელით აშინებდნენ და აჩუმებდნენ. აი ეს კობახიძე, დაუპატიჟებლად თავის ნებით, ვისთანაც მოისურვებდა იმას ეწვეოდა ზემოხსენებული რაზმის თანხლებით. დაუკითხავად პატრონისა, მუსრს ავლებდა ყოველისფერს: ქათამს, ბატს, ინდოურს, ცხვარს თუ ღორს. გაკითხვა არ იცოდა. არც ის იცოდა თუ, გვეყოფა, მეტს ველარ შევჭამთო; ისა სცდილობდა საშინელი ზიანი მიეცა მეოჯახისათვის. უსათუოდ ღვინის ქვევრთან უნდა გაეშალათ სუფრა, ქვევრის პირზედ ექეიფნა. როდესაც გაძღებოდა, ყელში აღარ ჩასდიოდა ღვინო, დანარჩენ ღვინოში ქვევრის მონახად მიწას, მოუსვამდა ხელს და ჩაჰყრიდა, რომ პატრონს აღარაფერი დარჩესო აი ამათთანა ხალხის ხელში კვნესოდა ბოდბისხევი. ამგვარ მძარცველთაგან ყოველ წლიურათ მიყენებულ უსაზღვრო ზიანს, ემატებოდა კიდევ ძველი ჩვეულებისამებრ: ქორწილში, ნიშნობაში, ქელეხში და სხვა უზომო ხარჯები; ყველა ამან სოფელი გამჰოფიტა, გაალატაკა. ამათგან განიავებულ სოფელს ზედ დაერთო ძველი შირაქის ჩამორთმევაც, რომლის შემდეგ ბოდბისხევს მოსავლის სიუხვე მოაკლდა ლა სოფელმა სულის ლაფვა დაიწყო. მჭამლები მრავალნი იყვნენ, მხსნელი კი არავინ. სწორეთ ამ კრიზისის დროს წამოესწრენ ის ოთხიოდე შვილი ამა სოფლისა, რომელნიც დღეს განაგებენ და სოფელი იხსნეს დალუპვისაგან.

ბ. ზაქარია ნაცვლიშვილი კარგა ხანია ამ სოფელს განაგებს. მრავალი ეგზეკუცია და შარი ააცდინა. მაგრამ ერთი კაცი რას შესძლებდა ამდენ მტაცებლებში, თუ მხარის დამჭერი არ ეყოლებოდა? და აი ამ რამდენიმე წლის წინად, სოფლის ცხოვრებას დაუბრუნდა ყოფილი მასწავლებელი გიგო ნაცვლიშვილი, რომელიც სრული ენერგიით სავსე შრომას შეუდგა სოფლის საკეთილდღეოდ, გამხნევებული იმით, რომ მას გვერდში ამოუდგნენ: ზ. ნაცვლიშვილი, კ. ნაცვლიშვილი, მღვდელი დ. ნაცვლიშვილი და დ. ხოსიტაშვილი, რომელთა თანხმობით შრომამ დაარწმუნა სოფელი, რომ ეს პატიოსანი პირები კეთილ ნიადაგს ამზადებდნენ სოფლისთვის, ამიტომ სოფელმაც მათ სრული ნდობა გამოუცხადა, რაიზედაც არ მოტყუვდა. ამ პატივცემულმა პირებმა დაარსეს: თეატრი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ბანკი, გახსნეს კოოპერატიული სავაჭრო, სოფლის ბოლოში დაარსეს ბაზარი, (იარმუკა) რაიცა ცენტრია მთელი ქიზიყ-კახეთისა თუ გაღმა მხრისათვის, სადაც მომავალ ქალაქს საძირკველი ჩაეყარა და რასაც ხელს უწყობს მახლობელი რკინის გზის წნორის წყლის სადგური. თუმცა ამ სოფელში აღურაცხველი საუკეთესო წყაროებია, რომლის სიუხვისაგან მოზრდილი რუ არის შემდგარი და მისგან სოფლის შუაგულში, თავიდან ბოლომდის ჩამწკრივებული მრავალი წისქვილები ბრუნავს, მაგრამ სოფელში თუ წყაროების სიუხვე იყო, სამაგიეროდ სოფლის ბოლოში კალოებზედ უწყლობით იტანჯებოდნენ განსაკუთრებით ზაფხულში. და აი ამასაც მიაქციეს ყურადღება, წელს აქაც გაიყვანეს წყალი, რაზედაც დაიხარჯა ათასსამას თუმნამდის. სოფლიდან დაწყებული კალოების ბოლომდის საჭირო ადგილებზედ, მრავალი ცივი წყლით მოჩუხჩუხე მილები ჩაამწკრივეს ცემენტის აუზებით. ამ დღეებშიაც დაიწყეს მეცადინეობა სასოფლო პურის საცხობის დასაარსებლად, რაიცა დღეს დიდს საჭიროებას შეადგენს. დანიშნეს ბაზრის მეთვალყურე ჩარჩების ასალაგმავად, რომელნიც სიღნაღიდან ახლა აქ ჩამოცოცდნენ ცნობილნი ხალხის სულის მხდელები, რომელთა მიზანია როგორმე საძირკველი შეურყიონ ამ სასიქადულო დაწესებულებას.

ყველა ზემო აღნიშნულ სიკეთესთან კიდევ, დაარსეს სასოფლო ნახირი. აქამდის თუ მრავალი ძროხის პატრონი მაწვნითაც ვერა სარგებლობდა რადგანაც შორს მინდორში ჰყვანდა, ეხლა ყოველ მცხოვრებს საშუალება მიეცა იყოლიოს ძროხები და ისარგებლოს, რადგანაც საზოგადო მენახირეს ეაა დაუდის საბალახოდ.

ხსენებულ პირთა მეოხებით ბოდბისხევი გახდა ყოველისფერის მექონე და ჩქარაც დაწინაურდა. ამგვარ გამართულ სოფელში კი აზრიანი და შრომის მოყვარე კაცი მოსვენებული თავისუფლად იცხოვრებს, ხოლო სახნავი მინდვრების სიშორივე და სიმცირე დიდათ უჭირვებს საქმეს. წლევანდელს საზოგადო ჭირს ეს სოფელიც უსაზომოთ განიცდის. ვენახების და ნახნავების დაზიანებისაგან აქაც შიმშილი აუცილებელია, ვინაიდან თამბაქოც ძალიან მცირე მოსავლიანია, რასაც მეათედსაც ძლივს გამორჩებიან, და გაყიდვაზედ ფიქრი ხომ მეტია, რადგანაც ეს დამოკიდებულია გაქუცულ სერგოზედ საფასში წაიღებს, ვინაიდან მას კონკურენტი არა ჰყავს, ამიტომ მის ნებაზედაა თამბაქოს ბედის საკითხი.

**ირადიონ ოქრუაშვილი.**

## დეპეშები

**სოფია,** 30 აგვისტო. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა, მაკედონელ ლეგიონერებს და მაკედონიაში თუ ფრაკიაში შობილ ყველა ბულგარელის გაწვევის შესახებ, ოციდან ორმოც წლამდე. თხუთმეტი დღის ვარჯიშობის შემდეგ, ამ გაწვეულებისაგან შესდგება მაკედონელთა დივიზია.

მინისტრთა საბჭომ აღადგინა საზოგადო გამოკვების კომიტეტი, პირველ საჭიროების საგნებით ყიდვა-გაყიდვის მოსაგვარებლად.

**ათინა,** 30 აგვისტო. მიტილენიდან იუწყებიან, მოკავშირეებმა გალიპოლის კუნძულზე ახალი დიდძალი ჯარი გადმოსხესო. ფრანგების კონტრ-ნაღმოსანმა ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელიც მოქმედებდა ეგეის ზღვაში.

**ტოკიო,** 30 აგვისტო. მოზარდი თაობის გასამილიტარისტებლად, სამხედრო მინისტრის წინადადებით მთავრობამ გადასწყვიტა შესცვალოს იმ საზოგადოებათა პროგრამა, რომლებიც საერთო განათლების მიზნებს ემსახურება და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ მოზარდ თაობის ფიზიკურ განვითარებასა და დისციპლინას.

**ჟიტომირი,** 31 აგვისტო. ტარნოპოლთან მომხდარ ბრძოლებში ტყვედ წამოყვანილთა დიდი პარტია კიევისკენ გაისტუმრეს. უმეტესობას გერმანელები შეადგენენ. მეტის მეტი მოქანცული სახე აქვთ.

**კიშინევი,** 30 აგვისტო. ბესარაბიის საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა სახელები გამოუცვალოს გუბერნიის სოფლებს, რომლებიც გერმანულ სახელებს ატარებდენ.

**პარიზი,** 30 აგვ. ოფიციალი. როგორც წინად, ისე ეხლაც ნამეტნავად მეტის სიმძაფრით ნეველთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. რუას რაიონში მოწინავე რაზმებს მოუხდათ შეტაკება. მდინარე ენის ჩრდილოეთიდან გერმანელებს ხანგრძლივ ზარბაზანს ვუშენდით. ჩვენც მამაცურად პასუხს ვაძლევდით. შამპანიაში ობერიკას, სენტგილერის ადგილებში, მაასის და მაზელის შუა, ლოტარინგის ჰფრანცისკენ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ოსმალებმა სამხრეთის სარტყელზე რამდენჯერმე ზარბაზნებით დაიწყეს სროლა, მაგრამ თხრილებიდან არ ამოსულან, ჩრდილოეთით შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი,** 31 აგვისტო. ვაშინგტონიდან იუწყებიან, გერმანიის ელჩის, ბერნსტორფის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდება ოფიციალ წრეებში იმ ცნობის გამო, თითქოს ბერნსტორფს ეთქვას, თუ პასპორტებს ჩამაბარებენ, გერმანია უბრძანებს წყალქვეშა ნავებს იერიში მიიტანოს სახალხო გემებზე, რაც გერმანიისა და შეერთებულ შტატებ შორის შეიარაღებულ შეტაკებას გამოიწვევსო.

**პეტროგრადი.** გერმანიიდან პეტროგრადში ჩამოვიდა რუს-ინგლისელების მეთორმეტე პარტია, რომელთა შორის სამი ოფიცერია და 107 უბრალო ჯარის კაცი. მათთან ერთად ნოვოგიორგიევსკიდან 40 მოწყალების და ჩამოვიდა.

**სტოკჰოლმი.** ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ 28 აგვ გერმანიის წყალქვეშამ დაჰლუპა ნორვეგიელთა ხომალდი „პრესტო“. 30 აგვ. გერმანიისავე წყალქვეშამ შეაჩერა გემი „ბეშეიმ“, კაპიტნის განმარტების შემდეგ გემი გაუშვეს უვნებელად.

**პეტროგრადი,** 31 აგვ. სახ. სათათბიროს უხუცესთა საბჭომ გამოსთქვა სურვილი დაარსდეს „ოქროს“ კომიტეტი სათათბიროს წევრებისგანვე, რათა მიიღონ ოქროეული შეწირულება სახელმწიფო ხაზინის განსამტკიცებლად.

**პეტროგრადი,** 31 აგვისტო. წითელ ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წინაშე აღძრულ შუამდგომლობის გამოისობით უმაღლესი მთავარსარდლის შტაბმა აუწყა კავკასიის ჯარის მთავარსარდალს რომ ოსმალეთის წითელი ნახევარმთვარეს იგივე უფლება მისცეს, რა უფლებაც წითელ ჯვარს აქვს მინიჭებული და ისევე იქმნას დაცული, როგორც დაცულია ხოლმე წითელი ჯვარი.

ცენტრალმა სამხედრო სამრეწველო კომიტეტმა ცნობა მიიღო, პეტროგრადის სახელმწიფო კანტროლის მოხელეებმა დაადგინეს, სამსახურიდგან თავისუფალი დრო მოახმარონ წითელ ჯვრის დაწესებულებეში მუშაობას, უბრალო მუშების როლში. იმგვარივე დადგენილება მიიღეს სხვა დაწესებულებათა მოხელეებმაც.

**პარიზი,** 31 აგვისტო. დილის ოფიციალი ცნობა. ბეტიუნ-არასის გზის მახლობლად ღამის განმავლობაში ხელით სასროლი ყუმბარებით იბრძოდენ. სადგურ სუშეს ჩრდილოეთისკენ ადვილად უკუგდებულ იქმნა გერმანელების იერიში. სომის სამხრეთით, ფეხ-წინ შეუპოვარი სანაღმო ბრძოლაა. ბევრენისა და არმანკურის ფარგლებში და კენევიერსა და ნუვრონის ზეგანზე. დროგამოშვებითი სროლაა არგონებსა და შამპანში. ლოტარინგიის ფრონტზე ფრანგებმა ქარიშხალური საარტილერიო ცეცხლი მიუშვეს [illegible] სანგრებსა და სხვა გამაგრებულ [illegible] უპერმენილის ლენტრეს და ანსერვილის მიდამოებში. სანგრებიდან გამოსული გერმანელები მავთულიან ღობეებს მოაწყდენ, მაგრამ არტილერიის შემწეობით ფრანგებმა ისინი უკუაქციეს.

**ლონდონი,** 30 აგვისტო. ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება: გასულ ღამეს „ცეპელინებმა ჩამოუქროლეს აღმოსავლეთის ნაპირებს და ყუმბარებიც გადმოყარეს, მაგრამ არავითარი ზარალი არ მოუტანიათ. იუწყებიან, გემი ეშმორი ჩასძირესო. ეკიპაჟიდან დაღუპულია ოთხი კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.
ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან